ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის

თინათინ ნიბლოშვილის

ანგარიში

2023-2024 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჩემ მიერ, 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) პროპორციული წესით არჩეული წევრის უფლებამოსილების ფარგლებში, გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ვიკავებდი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას და ამავდროულად გახლდით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
- საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი;
- საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი;
- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი.

საკრებულოს წევრის მანდატით, საანგარიშო პერიოდში, ჩართული ვიყავი დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში - სხდომების, სხვადასხვა შეხვედრის მიმდინარეობასა და საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ვესწრებოდი ადგილობრივ, სახელმწიფო თუ კერძო უწყებებში გამართულ სამუშაო პროცესებს, მათ შორის, ონლაინ პლატფორმების საშუალებით. საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად ვმონაწილეობდი ადგილობრივ მოსახლეობასთან გასვლით შეხვედრებში. რიგი საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევის მიზნით, კოორდინაციაში ვიყავი სხვადასხვა სამსახურთან. გავმართე არაერთი პირადი შეხვედრა/მიღება და სხვა აქტივობა.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების დადებითად გადაწყვეტას/დამტკიცებას, რომელთა ფარგლებში საკრებულომ 113 დადგენილება და 675 განკარგულება მიიღო. მუნიციპალური საკითხების განსახილველად საანგარიშო პერიოდში დავესწარი ბიუროს 18 და საკრებულოს 12 სხდომას.

ქალაქის მასშტაბით კულტურის სფეროსა და თეატრალური პროექტების დაფინანსების, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების, საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების, ასევე სხვადასხვა საკონკურსო განაცხადის განხილვის მიზნით, წლის განმავლობაში ჩართული ვიყავი დედაქალაქის მერიის შესაბამისი კომისიებისა და საბჭოს სამუშაო პროცესებში, რომელთა წევრიც ვარ:

- თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- პროგრამის - „ შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიერ საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. 2016 წელს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებით შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომში - გენდერული თანასწორობის საბჭო/საბჭო) - მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად. დამტკიცდა საბჭოს დებულება - განისაზღვრა საბჭოს ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებები, საბჭოს სტრუქტურა, მუშაობის წესი და სხვა.

საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით; საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"; საქართველოს კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ"; "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საბჭოს დებულების თანახმად, მის ძირითად ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს შორისაა:

- საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;
- გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;
- წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ან/და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთვის წარსადგენად და სხვა;

ადგილობრივ დონეზე გენდერულ პოლიტიკას საბჭო წარმართავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის №22-7 დადგენილებისა (შემდგომში - გენდერული სტრატეგია) და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის № 97 განკარგულების (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) შესაბამისად.

გენდერული სტრატეგია განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებსა და პრინციპებს. დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები და მონიტორინგის ღონისძიებები. გენდერული სტრატეგია წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველს. გენდერული სტრატეგია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქალთა და კაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან რეალიზებას, ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს მუნიციპალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის. გენდერული სტრატეგია მიმართულია ქალისა და კაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნისკენ.

სამოქმედო გეგმა ემსახურება გენდერული სტრატეგიის შესრულებას და ითვალისწინებს დოკუმენტში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის აღსასრულებლად სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას - დოკუმენტში წარმოდგენილი შემდეგი მიზნების შესაბამისად:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაძლიერება;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად.

საბჭო სამოქმედო გეგმის საფუძველზე უზრუნველყოფს: გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ღონისძიებების/პროექტების შემუშავებას საფინანსო-ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში; გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას; ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას; ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების

მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმართვას; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ინიციატივების შემუშავებასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებას; სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციასა და აღმოფხვრას; გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სხვა.

დედაქალაქის VII მოწვევის საკრებულოში, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №ბ03.03220281 ბრძანებით, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელსაც ზემოხსენებული თარიღიდან დღემდე ვხელმძღვანელობ. აღნიშნულ ბრძანებაში შესული ბოლო ცვლილების მიხედვით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №ბ03.03220281 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 27 ივლისის № ბ03.03232081 ბრძანება) საბჭო 27 წევრითაა წარმოდგენილი - 21 ქალი და 6 კაცი.

დედაქალაქის გენდერული სტრატეგიის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების აღსრულების, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვისა და მზადების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მჭიდროდ ვთანამშრომლობდი ადგილობრივ, სახელმწიფო და კერძო უწყებებთან.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომაზე წარვადგინე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის 2023-2024 წლების ანგარიში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აქტიურად ქვეყნდებოდა თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა - http://tbsakrebulo.gov.ge/index.php?m=604 და საბჭოს ოფიციალურ „ფეისბუქ“ გვერდზე - https://www.facebook.com/profile.php?id=100077935759606.

გენდერული თანასწორობის საბჭო

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცება



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 37-16

“20” თებერვალი 2024 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების
პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ დამტკიცების თაობაზე

საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“ რომელიც არეგულირებს დედაქალაქის საკრებულოსა და მერიაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების საკითხებსა და პროცედურებს. სამართლებრივი მექანიზმი საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), მხარდაჭერით მომზადდა. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის შესამუშავებლად, სხვადასხვა დროს, გაიმართა სამუშაო შეხვედრები საბჭოს წევრების, თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლების, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის ანალიტიკოს, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულების ხელმძღვანელ ქეთევან შუბაშვილისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ეროვნული კონსულტანტის, იურისტ გიორგი ხატიაშვილის ჩართულობით, რომელთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მომზადდა აღნიშნული დოკუმენტი, რომლის მიზნებად განისაზღვრა:

- მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნა;
- სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში ეფექტიანი რეაგირების განხორციელება;
- სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მხარდაჭერა და დაცვა;
- სექსუალური შევიწროების ჩამდენი პირის მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული და სამართლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება;
- სექსუალური შევიწროების პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი მექანიზმი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დედაქალაქის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში სექსუალური შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნას, პირთა თანასწორუფლებიანობის დაცვას, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების განხორციელებას.

დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მოეწყო ტრენინგები თემაზე „სექსუალური შევიწროების პრევენცია და რეაგირების მექანიზმის ეფექტიანი იმპლემენტაცია“, რომელთაც უძღვებოდნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის ანალიტიკოსი, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულების ხელმძღვანელი ქეთევან შუბაშვილი და იურისტი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ეროვნული კონსულტანტი გიორგი ხატიაშვილი. შეხვედრების მიზანი იყო სექსუალური შევიწროების მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების, ეროვნული კანონმდებლობის და პრევენციის მექანიზმების გაცნობა, სექსუალური შევიწროების თაობაზე მგრძნობელობისა და ცნობიერების გაზრდის ხელშეწყობა, საქმეთა შესწავლის პრინციპებისა და მეთოდების, ასევე მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გაცნობა. შეხვედრაზე, რომელსაც ვესწრებოდით დედაქალაქის საკრებულოსა და საბჭოს წევრები, აგრეთვე - საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, გავეცანით სექსუალური შევიწროების ცნებასა და ინდიკატორებს, მისი გავრცელების მასშტაბებს, გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს. დეტალურად განვიხილეთ საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს პრევენციის ღონისძიებებს, უზრუნველყოფს სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის საკითხებზე თანამშრომლების ინფორმირებულობასა და შემავიწროებლისთვის პროპორციული, ადეკვატური და სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრებას.

სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა თბილისის საკრებულოში საბჭოს წევრების, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც აღნიშნული დოკუმენტი უკვე მოქმედებს, მათ შორის გახლდათ: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია; საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; საჯარო სამსახურის ბიურო; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ,,საქპატენტი''; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტის მიღება და პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენება საჯარო თუ კერძო სექტორში სექსუალური შევიწროების შემთხვევების

თავიდან აცილებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. დოკუმენტის ირგვლივ თანამშრომლობის გაგრძელება დაიგეგმა.

გენდერული თანასწორობის საბჭო

თბილისის საკრებულოს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში დაიწყო თბილისის საკრებულოს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მზადების პროცესი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრთათვის თავდაპირველად თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის მეთოდოლოგიისა და პროცესის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის წარმომადგენლებსა და გენდერული აუდიტის ექსპერტებთან გამართულ შეხვედრაზე მოეწყო. გავეცანით გენდერული აუდიტის მიზნებსა და მეთოდოლოგიას, შესასწავლ სფეროებს, სამუშაო გეგმასა და თბილისის საკრებულოს თანამონაწილეობას. განიმარტა, რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის პოლიტიკის გენდერული ანალიზი და აღნიშნული პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. შეხვედრაზე განვიხილეთ გენდერული აუდიტის პრიორიტეტები, ვისაუბრეთ ინსტრუმენტზე, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს რამდენად ეფექტიანად ხდება ორგანიზაციულ საქმიანობაში გენდერული საკითხების ინტეგრირება და სხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭო

კამპანია „არა ქალზე ძალადობას“

ნოემბერი - გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი საერთაშორისო კამპანია

გენდერული თანასწორობის საბჭო ტრადიციულად შეუერთა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. კამპანიის დაწყების დღეს თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათდა, რომელიც კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს.

„დუმილი გამოსავალი არ არის“
„გავერთიანდეთ ძალადობის წინააღმდეგ”

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის, მის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საბჭოს ინიციატივით, დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო მომსახურებების - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების სერვისების შესახებ.

საბჭოს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით საბჭოს წევრთა ვიდეომიმართვა განთავსდა.

„არა ქალზე ძალადობას“ კამპანიის ფარგლებში, „საქართველოს სტუდენტური პარლამენტის“ ახალგაზრდა წევრებთან შეხვედრა გაიმართა საბჭოს წევრებისა და თბილისის ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების კრიზისული ცენტრის (შემდგომში - თბილისის კრიზისული ცენტრი) მენეჯერის, ანა რობაქიძის ჩართულობით. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდათ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ, ხოლო თბილისის კრიზისული ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციაზე, შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად არსებული სახელმწიფო მომსახურებები - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების სერვისები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიწვევით, მონაწილეობა მივიღე „ნარინჯისფერი კამპანიის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაში, რომელიც სოფელ ფშავში, „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული დაცვისა და დახმარების“ თემაზე გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ესწრებოდნენ: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის

დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ნინო ისაკაძე, ეუთოს ახალგაზრდა ქალების პოლიტიკური აკადემიის კურსდამთავრებული ნინო ცაავა.

თბილისის საკრებულოში შეხვდი საერთაშორისო ორგანიზაციის „მერსი ქორფს“-ის წარმომადგენლობა საქართველოში - (შემდგომში - „მერსი ქორფსი“) წარმომადგენლებს. სტუმრებმა ახალი პროგრამის „უსაფრთხო ონლაინი - ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“ პრეზენტაცია წარმოადგინეს, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობის (TFGBV) რისკების შემცირებაზე, ქალებისა და გოგონების დასაცავად. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ციფრული ტრანსფორმაციის დემოკრატიზაციისა და ბიზნესში ქალების ონლაინ უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით. „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლებმა ისაუბრეს პროგრამის ქვემიზნებსა და მის ფარგლებში საქართველოსა და სომხეთში დაგეგმილ აქტივობებზე, რომლებიც მოიცავს: დაინტერესებულ მხარეთა მობილიზებას, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობის (TFGBV) შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მეწარმე ქალების ციფრულ ეკონომიკაში ჩართვისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, სასწავლო კურსების, მიდგომების, მხარდამჭერი საშუალებებისა და ღონისძიებების შემუშავებას, წარმატებული ინოვაციების დანერგვას ქალთა ონლაინ უსაფრთხოების/ბიზნესის გაუმჯობესებისათვის და სხვა. სტუმრებს გავაცანი გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერის მიზნით საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობა. შეხვედრაზე, ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობა დაიგეგმა.

ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, საბჭოს წევრებთან ერთად, თბილისის კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღები პირები მოვინახულეთ. აღნიშნული

დაწესებულების უფროსმა, ინდირა რობაქიძემ და დაწესებულების მენეჯერმა, რუსუდან კოხოძემ გაგვაცნეს დაწესებულების სტრუქტურა და მუშაობის სპეციფიკა. ვისაუბრეთ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად არსებული სახელმწიფო მომსახურებების შესახებ.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი საერთაშორისო კამპანიის დასასრულს, საბჭოს ინიციატივით, დედაქალაქის საკრებულოში გაიმართა კამპანიის შემაჯამებელი აქტივობა - კონფერენცია, თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმები, ძალადობის პრევენცია“, სადაც შეხვედრის მონაწილეებმა შემდეგი მოხსენებები წარმოადგინეს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები;
- საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;
- მუნიციპალიტეტის როლი გენდერული ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა გაძლიერების მიმართულებით;
- მეუღლეზე/პარტნიორზე მოძალადე პირთა ქცევის კორექციის პროგრამები პენიტენციურ დაწესებულებებში;
- სახელმწიფო მომსახურებები/სერვისები ძალადობის მსხვერპლთათვის;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი და სერვისები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახზე ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით;
- სექსუალური შევიწროების მექანიზმები სამუშაო ადგილზე;
- ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; ქცევის კორექციის კურსი - მოძალადეებისთვის, პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში;
- შევიწროება, ძალადობა და გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში;
- წარმატებული თანამშრომლობის შედეგები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

საბჭოს წევრებთან ერთად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლებმა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უწყებიდან: შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის გამოძიების ხარისხის ანალიზისა და შეფასების სამმართველო;

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის დეპარტამენტი; სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება; იურიდიული დახმარების სამსახური; შრომის ინსპექციის სამსახურის სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ზედამხედველობის სამმართველო; ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დეპარტამენტი; საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება; „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ციფრულ ეკონომიკაში ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა

გენდერული თანასწორობის საბჭო საანგარიშო პერიოდში აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციასთან „მერსი ქორფსი“. გასულ წელს დაწყებულმა პარტნიორობამ შესაძლებლობა მოგვცა ზემოხსენებულ ორგანიზაციასთან უკვე მეორე პროგრამის „უსაფრთხო ონლაინი - ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“ ფარგლებში გაგვეფორმებინა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ძალადობის პრევენციისა და ქალთა ელექტრონულ კომერციალიზაციაში გაძლიერების მიზნით, მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას და გაღრმავებას. მემორანდუმით განისაზღვრა მხარეთა თანამშრომლობა ციფრულ ეკონომიკაში ქალთა გაძლიერების, ონლაინ სივრცეში ქალთა უსაფრთხოებისა და დაცვის სფეროში. აღსანიშნავია, რომ პროგრამა „უსაფრთხო ონლაინი - ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“ მიმართულია ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობის (TFGBV) რისკების შემცირებაზე, ქალებისა და გოგონების დასაცავად. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ

ეკონომიკურ ზრდას - ციფრული ტრანსფორმაციის დემოკრატიზაციისა და ბიზნესში ქალების ონლაინ უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა სხვადასხვა აუდიტორიასთან, სადაც ორგანიზაცია „მერსი ქორფს“-ის პროგრამის „უსაფრთხო ონლაინი-ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“ წარმომადგენლებმა - პროგრამის მენეჯერმა ნინო ჩუბინიძე და უსაფრთხოების/ტექნოლოგიების სპეციალისტმა ლელა მირცხულავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ზემოხსენებული პროგრამის საქმიანობა და წარუდგინეს პრეზენტაცია თემაზე: „ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ძალადობა გენდერული ნიშნით (TFGBV)“. სხვადასხვა დროს გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებოდნენ:

- თბილისის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები;
- დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროს თანამშრომლები;
- დედაქალაქის გამგეობების თანამშრომლები;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურების თანამშრომლები;
- აფხაზეთიდან დევნილი მეწარმე ქალები.

პრეზენტაცია მოიცავდა ვრცელ ინფორმაციას ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობის (TFGBV) ფორმებსა და მონაცემთა კონფიდენციალურობაზე, უსაფრთხოებასა და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერებაზე - დამნაშავეთა პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა, ონლაინ სიძულვილის ენა გენდერული ნიშნით; TFGBV - როგორც კიბერძალადობა და TFGBV-ის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები; ქალებისა და გოგონების კიბერშევიწროება და მათი კიბერბულინგი; ონლაინ კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების საკითხები - ანგარიშების რეგისტრაცია, პაროლები, უსაფრთხო ვებდათვალიერება, კონფიდენციალურობის პარამეტრები და პოლისები. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მიდგომები, მონაცემთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერების, შესაბამისად, დამნაშავეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა

გენდერული თანასწორობის საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის თანამშრომლობა დავიწყეთ აფხაზეთიდან დევნილი მეწარმე ქალების მიერ, სხვადასხვა მასალისა და ნედლეულის გამოყენებით შექმნილი პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების: დეკორატიული აქსესუარებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენით, რომლის მიზანი მეწარმე ქალების საქმიანობის მხარდაჭერა და მათი პროდუქციის პოპულარიზაცია გახლდათ. გამოფენა ზემოხსენებული უწყების ინიციატივითა და საბჭოს მხარდაჭერით დედაქალაქის საკრებულოში გაიმართა.

მოგვიანებით გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, თანამშრომლობის სფეროები კი მოიცავს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილი ქალი მეწარმეების ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერას - მათ მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენებისა და სხვადასხვა ღონისძიების გამართვას, აფხაზეთიდან დევნილი ქალი მეწარმეების ცნობიერების ამაღლებას და მათი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებების ფარგლებში.

„აფხაზური ეზო“ - ამ სახელწოდებით მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი ქალი მეწარმეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და სხვადასხვა პროდუქციის მორიგი გამოფენა - გაყიდვა, რომელიც რიყის პარკში გაიმართა. ღონისძიებას, რომლის მიზანი მეწარმე ქალების საქმიანობის მხარდაჭერა და მათი პროდუქციის პოპულარიზაცია გახლდათ, ვესწრებოდით გენდერული თანასწორობის საბჭოსა და დედაქალაქის საკრებულოს წევრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები.

გენდერული თანასწორობის საბჭო

საინფორმაციო კამპანია „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“

საანგარიშო პერიოდში კვლავ გრძელდებოდა საბჭოს მიერ გასულ წლებში დაწყებული საინფორმაციო კამპანია "შენი სიცოცხლე შენს ხელშია“, რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გახლდათ. კამპანია საბჭოს ინიციატივით, პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველო“- სა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით, სხვადასხვა აქტივობით მიმდინარეობს, რომელთა მთავარი გზავნილებია: სკრინინგის ჩატარების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მოტივაცია და მათ მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სხვა. აღსანიშნავია, რომ კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე აქტიურად ვრცელდებოდა დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ საბჭოს ინიციატივით დაბეჭდილი საინფორმაციო ბროშურები.

კამპანიის „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ ფარგლებში, პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველო“- ს პრეზიდენტ ანა მაზანაშვილსა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორ ეთერ კიღურაძესთან ერთად შეხვედრა გავმართეთ თბილისის 173-ე საჯარო სკოლის პედაგოგებთან. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა კიბოს დროული დიაგნოსტიკის, პრევენციის ღონისძიებებსა და იმ სამედიცინო გამოკვლევებზე რომლებიც დედაქალაქის დაფინანსებით ხორციელდება.

გენდერული თანასწორობის საბჭო

კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“

გენდერული თანასწორობის საბჭო, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას - „ვარდისფერი ოქტომბერი“ სხვადასხვა აქტივობით შეუერთდა. კამპანია პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველო“-სა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა. რამდენადაც, ვარდისფერი კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს, ოქტომბრის თვე თბილისის სატელევიზიო ანძის, სიმბოლურად, ვარდისფრად განათებით დაიწყო.

ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი შევკარით. ღონისძიებაზე დარიგდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ.

დედაქალაქის საკრებულომ კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბერი“ ფარგლებში ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა და ხელოვანთა მიერ შექმნილი ფერწერული ნამუშევრებისა და ხელნაკეთი ნივთების - მრავალფეროვანი აქსესუარებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების საქველმოქმედო გამოფენას უმასპინძლა. ექსპოზიციის მიზანი ბენეფიციართა მოტივაცია და თანადგომა გახლდათ.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ფორუმები, ტრენინგები და სხვა შეხვედრები

მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმის „ჯანსაღი ქალაქი - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება“ ფარგლებში გამართულ სესიაზე „მწვანე და სარეკრეაციო სივრცეების გავლენა გენდერულ ჯგუფებზე“. სიტყვით გამოსვლისას ვისაუბრე თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმარებაზე - თანამედროვე სტანდარტების, უნივერსალური დიზაინისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით მოწყობილ გამწვანებულ სივრცეებზე, რომლებიც თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი სქესის, ასაკის

თუ საჭიროების მქონე ადამიანისთვის. სიტყვით გამოსვლა შეეხო აგრეთვე ქალაქებში გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური დაგეგმარების როლს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის.

თბილისის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად დავესწარი გენდერულ ბიუჯეტირებასთან (პროგრამულ ბიუჯეტირებაში გენდერული ასპექტების განსაზღვრა) დაკავშირებით გამართულ ტრენინგს, რომელსაც GIPA-ს ადგილობრივი თვითმმართველობის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ლოლაძე უძღვებოდა. შეხვედრაზე გავეცანით გენდერული ბიუჯეტირების არსსა და მიდგომებს, გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვის ძირითად ფაქტორებსა და ეტაპებს, გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებას შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების პროცესში, გენდერულ ინდიკატორებს, საერთაშორისო ვალდებულებებსა და კანონმდებლობას. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე თბილისის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე და დედაქალაქის მერიის სხვა თანამშრომლები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და დედაქალაქის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „როგორია ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე ურბანული განვითარება“, რომელიც აზიის განვითარების ბანკის ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სოციალურად ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე ურბანული განვითარების საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების, გოგონებისა და მოწყვლადი ჯგუფების თანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სერვისებზე, მათი განვითარების შესაძლებლობებს და სხვა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა დასაქმებისა და განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანი შეხვედრები გავმართეთ საერთაშორისო ორგანიზაციის „სოლიდარობის ცენტრი“ საქართველოს წარმომადგენლობასა (შემდგომში - სოლიდარობის ცენტრი) და თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო

საბჭოსთან. თანამშრომლობა დავიწყეთ თბილისის საკრებულოში გამართული საინფორმაციო შეხვედრით, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად გავეცანით „სოლიდარობის ცენტრი“-ს საქმიანობასა და მიზნებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. მოეწყო აღნიშნული ორგანიზაციის პროექტის „ქალების ჩართულობა სამუშაო ძალაში“ პრეზენტაცია, რომლის ზოგადი მიზანია გაზარდოს ქალების სრულფასოვანი, თანასწორი და უსაფრთხო ჩართულობა სამუშაო ძალაში. პროექტი, რომელსაც „სოლიდარობის ცენტრი“ პარტნიორ პროფესიულ კავშირებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს, „სოლიდარობის ცენტრი“-ს პროექტების კოორდინატორმა, სალომე ქაჯაიამ წარადგინა და დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მცირე საგრანტო კონკურსის - საპილოტე პროექტის შესახებ, რომლის განხორციელებაც გააუმჯობესებს ქალთა ხელმისაწვდომობას დასაქმების შესაძლებლობებსა და კარიერულ განვითარებაზე, გაზრდის ქალების ჩართულობას სამუშაო ძალაში. შეხვედრაზე განვიხილეთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლებისა და დასაქმებისა ხელშეწყობის საკითხები.

აღნიშნული შეხვედრის შემდგომ, „სოლიდარობის ცენტრი“-ს ორგანიზებით, ჩატარდა სამდღიანი სესია თემაზე: „ქალთა ღირსეული დასაქმება და შრომითი უფლებები საქართველოში“ რომელსაც სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ჯგუფი და მათი ლიდერები ესწრებოდნენ. სესიებს უძღვებოდნენ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და „სოლიდარობის ცენტრი“-ს ექსპერტები. შეხვედრაზე გავეცანით შრომით უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებს, შრომით ურთიერთობებსა და შრომის კანონმდებლობის აღსრულებას, ორგანიზაციული გაძლიერების ასპექტებს და სხვა.

დასკვნით ეტაპზე, თბილისის საკრებულოში გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა „სოლიდარობის ცენტრი“-ს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტისა „ქალთა ღირსეული დასაქმება და შრომითი უფლებები საქართველოში", სადაც განვიხილეთ პროექტის შედეგები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პროექტის აქტივობების შედეგად, გაიზარდა ქალების ცოდნის დონე შრომის სფეროში, მიღებულმა ინფორმაციამ კი ხელი შეუწყო ქალებს ღირსეული დასაქმების არსში გარკვევასა და მათი უფლებების რეალიზებაში, რაც დაეხმარება მათ, ეკონომიკაში ქმედითი ჩართულობის მოტივაციის გაზრდაში. პროექტის შემაჯამებელ შეხვედრას ვესწრებოდით გენდერული თანასწორობის საბჭოსა და თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრები, „სოლიდარობის ცენტრი“-ს პროგრამის კოორდინატორი სალომე ქაჯაია და პროექტის მონაწილეები.

საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“-ს პროგრამის ,,ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის'' (WISE) ფარგლებში, ამავე ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროექტის „გოგონათა ბანაკის პროგრამა - მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე“ მონაწილეებთან შეხვედრა გავმართეთ, რომლის თემა გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის ხელშეწყობა, ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვა და ამ მიმართულებით საბჭოს მიერ განხორციელებული საქმიანობის გაცნობა იყო. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროექტი საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლის მოსწავლეებს აერთიანებს და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხების გარდა, მოიცავს კულტურულ და საგანმანათლებლო მიმართულებებს, ასევე ადამიანის უფლებების დაცვას, დეზინფორმაციის ამოცნობის ტექნიკებს, მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების როლს უფლებებისა და თანასწორობის დაცვის მიმართულებით. შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერეს.

გენდერული თანასწორობის საბჭო

კულტურულ - საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები

თბილისის საკრებულოში რაგბის 7-ქალა ეროვნული ნაკრების წევრების მიღება გავმართეთ, რომელთაც, მიმდინარე წელს, ელიტის საგზური მოიპოვეს. ნაკრებმა ტროფის(მეორე) დივიზიონის საპრიზო მეორე ადგილის დაკავება შეძლო, რითაც უფლება მოიპოვა უმაღლეს, ელიტარულ დივიზიონში ასპარეზობისა, ხოლო ნაკრების მოთამაშე მანონი საღარაძე 2024 წელს ევროპის 12 გუნდის მოთამაშეთა შორის საუკეთესო მორაგბე ქალად დასახელდა. რაგბის 7-ქალა ეროვნული ნაკრების წევრებს, რომელთა გამარჯვება დიდი სტიმულია ყველა სპორტსმენი ქალისათვის, საბჭოს სახელით მიღწეული წარმატებები მივულოცეთ. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე გოგებაშვილი, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების კაპიტანი მამუკა გორგოძე, საქართველოს პარლამენტის წევრი დავით კაჭარავა, რაგბის 7-ქალა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯაბა მალაღურაძე და მწვრთნელები.

გენდერული თანასწორობის საბჭოსა და თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში ღონისძიება გაიმართა, სადაც გამოფენილი იყო საბჭოს კამპანიის „არა ქალზე ძალადობას“ ფარგლებში გადაღებული, ეთნიკური უმცირესობების თემთა წარმომადგენლების ფოტოები. ღონისძიებას, რომელიც ჟურნალ "Wings Media" ორგანიზებით მოეწყო, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან ერთად თბილისის კრიზისული ცენტრის უფროსი ინდირა რობაქიძე, ,,ევროპა დონა საქართველო“-სა და სხვადასხვა კერძო კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იშვიათი პროფესიების ქალთა პროფესიული არჩევანისა და კარიერული საქმიანობისადმი მხარდაჭერის გამოსახატად, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, თბილისის საკრებულოში მათი მიღება გავმართეთ და ღონისძიების მონაწილეებს საბჭოს სახელით სიმბოლური მხარდაჭერის ბარათები გადავეცით. ღონისძიება „ქალთა იშვიათი პროფესიები“ რომლის მიზანი იშვიათი პროფესიების/სპეციალობების ქალთა პროფესიული არჩევანის წახალისება და აღნიშნული პროფესიების/სპეციალობების პოპულარიზაცია გახლდათ, დაიგეგმა დედაქალაქის მერიის მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში, ამავე პროგრამის განმახორციელებელი სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების/პროფესიული სასწავლებლების ჩართულობით: კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“; კოლეჯი „მერმისი“; კოლეჯი „სპექტრი“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულმა ქალებმა:

- ფილამწყობი;
- მღებავი;
- შემდუღებელი (ელექტრორკალური);
- ელექტრიკოსი;
- ელექტრიკოსის პროგრამის პროფესიული კურსი;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავას დიაგნოსტირება;
- ამფეთქებლის მოსამზადებელი პროფესიული კურსი;
- დურგალი (ლამინირებული ავეჯის დამამზადებელი);
- ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
- მასიური ხის ავეჯის რესტავრატორი;
- კონდიცირების სისტემის მემონტაჟე;
- სანტექნიკისა და გათბობა - წყალგამაცხელებელი სისტემების მემონტაჟე.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს ზემოხსენებული აქტივობა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს: პროფესიულ განათლებასა და კარიერულ განვითარებაში ქალთა და კაცთა როლებთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას, პროფესიის/სპეციალობისა და სამუშაოს სქესის მიხედვით დაყოფის საკითხის დაძლევას და უზრუნველყოფს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლებას კარიერულ არჩევანსა/განვითარებასა და დასაქმებასთან მიმართებაში.

სხვადასხვა შეხვედრა და აქტივობა

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესა და დედაქალაქის საკრებულოს წევრებთან ერთად USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელსა და ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებს შევხვდით. სტუმრებმა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პროექტსა თუ მიმართულებაზე ისაუბრეს და პროგრამის ამოცანები წარმოგვიდგინეს, მათ შორის: საჯარო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესება თვითმმართველობებში; მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული და თანაბრად მისაწვდომი ადგილობრივი სერვისების მიწოდების ხელშეწყობა, ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება თვითმმართველობის საქმიანობაში, ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით და სხვა. დედაქალაქის საკრებულოს მხრიდან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის მედიაში გაშუქებაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობასა და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ეკონომიკურ ფაქტორებზე. შეხვედრაზე მხარეთა შორის თანამშრომლობების სამომავლო პერსპექტივები განვიხილეთ.

თბილისის საკრებულომ მხატვრული რეწვისა და დიზაინის თბილისის V საერთაშორისო სამიტის „ეთნოფესტი 2024“-ის პრეზენტაციასა და ოფიციალურ გამოცხადებას უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ „ეთნოფესტს“, როგორც შემოქმედებითი ინდუსტრიის ერთ-ერთ მასშტაბურ პლატფორმას, უკვე წლებია თბილისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა აქვს. ფესტივალი, რომელიც სამი დღის განმავლობაში ერთ სივრცეში თავს უყრის შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენლებს - დიზაინერებს, მეწარმეებს, ხალხური რეწვის, ხელნაკეთი პროდუქციის ოსტატებს, მხატვრებს და სხვა, ქმნის დარგის ეკონომიკური მდგრადობის, საერთაშორისო ბაზარზე ქართული ნაწარმის ცნობადობის გაზრდის, პროდუქციის მარკეტინგის და მწარმოებლების ინტეგრაციის შესაძლებლობას. ღონისძიებაზე გავეცანით სამიტის პროგრამას, მონაწილეობის პირობებს, მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმებსა და სხვა. „ეთნოფესტი 2024“ თბილისში 11,12, 13 ოქტომბერს, „ექსპოჯორჯიას“ საგამოფენო სივრცეში დაანონსდა.

მონაწილეობა მივიღე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ზამთრის სკოლის გახსნისა და დახურვის ღონისძიებებზე. დედაქალაქის საკრებულოს წევრებთან ერთად ზამთრის სკოლის გახსნას თბილისის საკრებულომ უმასპინძლა. შეხვედრაზე სტუდენტებს ინფორმაცია მივაწოდეთ წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის,

სტრუქტურისა და თავისებურებების შესახებ, ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობაზე. აღსანიშნავია, რომ ზამთრის სკოლის ფარგლებში აუდიტორიის წინაშე დარგის ექსპერტებისა და სხვადასხვა ქალაქის მერების მოხსენებით წარდგენა დაიგეგმა, რომელთა თემატიკა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: მუნიციპალური სამართლის საფუძვლები, მუნიციპალიტეტების განვითარების ხედვა, ადგილობრივი თვითმმართველობის ჰერალდიკური ნიშნები და სხვა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ზამთრის სკოლის დახურვის ღონისძიებაზე, რომელიც ქალაქ რუსთავში გაიმართა, სკოლის მონაწილეებს სერტიფიკატები გადავეცით და მსგავსი ინიციატივების აქტუალურობაზე ვისაუბრეთ.

თბილისის საკრებულოში კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომელიც კავკასიის ონკოსაზოგადოება „ჰოუფი“-სა (H.O.P.E) და პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველო“- ს ეგიდით, თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიება მოეწყო კამპანიის „სრულფასოვანი მკურნალობა - უწყვეტი ზრუნვა“ ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ონკოლოგიურ სერვისებზე თანაბარი და სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ონკოლოგიური დაავადებების მართვაში სახელმწიფოსგან არსებულ მხარდაჭერაზე - საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყველა მოქალაქისათვის ონკოქირურგიის, თერაპიული მკურნალობის: ქიმიო-ჰორმონო-სხივური თერაპიებისა და მედიკამენტების დაფინანსებაზე. ღონისძიებას ვესწრებოდით დედაქალაქის საკრებულოს წევრები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესკომპანიების წარმომადგენლები, სპეციალისტები, ექიმები, პაციენტები და მხარდამჭერები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია

დედაქალაქში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაეთმო თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობა, რის შედეგადაც, სხვადასხვა დროს გამართულ სხდომებზე, კომისიამ მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტში მიმდინარე არაერთი პროგრამის/პროექტის განხორციელებას. განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გამართული სხდომებიდან მონაწილეობა მივიღე 10 მათგანის მუშაობასა და 17 საკითხის განხილვაში.

წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს გამართულ კომისიის სხდომებზე ვიმსჯელეთ მემორიალური დაფების განთავსების საკითხებზე და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის დადებითი შეფასებები გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიას. კომისიამ განიხილა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მიხეილ ქორიძის; ხალხური ფოლკლორისა და საესტრადო მუსიკის შემსრულებლის, მომღერალ ლევან კბილაშვილის; საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერ დევი აბაშიძის; ბერი გაბრიელ აღმსარებლის(ურგებაძე); სახალხო მხატვრის, ერვანდ ქოჩარის; ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქისა და ღირსების ოდენის კავალერის, რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფების განთავსების საკითხები.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მხარი დაუჭირა მემორიალური დაფის განთავსების წესში შესატან ცვლილებას, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მქონე პირებთან დაკავშირებით საგამონაკლისო წესით, მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილობის განხილვის თაობაზე. კერძოდ კი - იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, რომლითაც განსაზღვრულია პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წელზე ადრე მისი მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვა, დაემატა კიდევ ერთი პირობა - თუ საზოგადო მოღვაწეს მინიჭებული ჰქონდა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. ამრიგად, აღნიშნული რეგულაცია მნიშვნელოვნად გაამარტივებს დედაქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირთა მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მართვას.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, კომისიის სამუშაო პროცესი დაეთმო საგანმანათლებლო სფეროში შესაბამის წესში შესატან ცვლილებას - სტუდენტთა დაფინანსების არსებულ პროგრამას დაფინანსების ნაწილში ახალი კომპონენტი დაემატა, კერძოდ კი - „შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე ბავშვის“ კატეგორია, რაც შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე სტუდენტების დაფინანსებას.

სხდომაზე გავეცანით ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ 2023 წლის საქმიანობის ანგარიშსა და სამომავლო გეგმებს. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ავარიული ბაგა-ბაღების ჩანაცვლება, მათი გამაგრება-რეაბილიტაცია და აგრეთვე, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

კომისიის სხდომებზე განვიხილეთ დედაქალაქის 2023-2024 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული საკითხები. რამდენადაც, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკისათვის პრიორიტეტია განათლებისა და კულტურის სფეროების მხარდაჭერა, დედაქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შესაბამისი ასიგნებები, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების წარმატებით განსახორციელებლად.

შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ზემოაღნიშნული სფეროების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების, პროფესიული განათლების და დასაქმების, მუზეუმების გაერთიანების, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების, სტუდენტთა დაფინანსების, ინკლუზიური ხელოვნების და განათლების, თეატრალური ხელოვნების განვითარების, სახელოვნებო განათლების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარებისა და სხვა. აღსანიშნავია ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა, კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებს უწყვეტად მოგვეწოდებოდა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ: დედაქალაქის მერიის ბიუჯეტ(ებ)ით დაფინანსებულ - განხორციელებულ და მიმდინარე პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერის პოლიტიკის შენარჩუნების კუთხით აღსანიშნავია ხელოვნების სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აგრეთვე მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანამედროვე სტანდარტებით ინვენტარიზაცია და მათი წიგნადით ფონდით შევსება.

სამუზეუმო რეფორმისა და მოდერნიზების გზაზე წარმატებით განაგრძობდა საქმიანობას თბილისის მუზეუმების გაერთიანება, როგორც ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის მხრივ, ასევე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის, გამოფენების გამართვისა და სხვა მიმართულებებით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი ინვენტარით აღჭურვა. თოჯინური ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინანსება, თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის

უნიკალური ექსპონატების საკრებულოს ისტორიულ შენობაში განსათავსებლად გამოყოფილი ფართის პროექტირების - სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციისათვის.

გრძელდება სწავლის საფასურის დაფინანსება უმაღლესი განათლების მიმღები - სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), წარჩინებული მაგისტრანტებისათვის, ხოლო არაფორმალური განათლების სფეროში - ხელოვნების სხვადასხვა სკოლებში სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და არამოთხოვნადი სპეციალობების მოსწავლეებისთვის.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისთვის გრძელდება დედაქალაქის მერიის ინიციატივით 2018 წლიდან ამოქმედებული პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებში, პროფესიულ კოლეჯებში, იშვიათი და მოთხოვნადი პროფესიები ფინანსდება - თბილისში რეგისტრირებული, სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების მიზნით.

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების, სამუშაო და ოფიციალური შეხვედრების პარალელურად ჩართული ვიყავი კომისიის მიერ გამართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და აქტივობებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასა და კომისიის უფლებამოსილებაში შემავალი სხვა საკითხების განხილვას დაეთმო, რომელთა ინიცირებას, კანონმდებლობის შესაბამისად, ახდენდა როგორც კომისია, ასევე დაინტერესებული მხარე/მოქალაქე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკითხების საჯარო განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას. საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი კომისიის მიერ გამართული 13 სხდომის მუშაობაში, შევისწავლე 202 საკითხი.

მიმდინარე წლიდან, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შედეგად, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 108 გეოგრაფიული ობიექტი ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა - კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და სხვა სფეროს წარმომადგენელთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა და სხვა დამსახურებულ პიროვნებათა სახელებს ატარებენ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების სახელები ეწოდა თბილისში არსებულ არაერთ გეოგრაფიულ ობიექტს, რომელთა შორისაა კობა აბზიანიძის, გოჩა მაჩაიძის, კობა მირზაშვილისა და ალექსანდრე გამსახურდიას ქუჩები. დედაქალაქს შეემატა აგრეთვე ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის, გია მოსეშვილის ქუჩა და სკვერი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, სოსო ღვინიაშვილის ქუჩა და სხვა.

თბილისში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტებს მიენიჭა: აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი ჟვანიას; ექიმ-ინფექციონისტის, აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის; მეან-გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას; გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა სახელები: მაშველების - გიორგი მარგიანისა და კახა ტორჩინავას, მფრინავების - დიმიტრი ქააძის, ლევან ჩოხელისა და ანდრო ქუჯოშვილის, ექიმ გიორგი ვენეცკის.

თბილისში გაჩნდა აგრეთვე რეჟისორების - სანდრო ახმეტელის, აკაკი ვასაძისა და დევი აბაშიძის, მსახიობ გურამ ფირცხალავას, მომღერალ თამაზ სეფერთელაძისა და კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის, პოეტ ფრიდონ ხალვაშის, ჩოგბურთელ თეიმურაზ კაკულიას, პოლიტიკური მოღვაწის, რაჟდენ არსენიძის სახელობის ქუჩები.

კომისიის გენდერული პოლიტიკის ფარგლებში, სახელდების პროცესში გათვალისწინებული იყო ასევე ქართველ ქალთა გვარ-სახელები. საანგარიშო პერიოდში, კომისიის საქმიანობის შედეგად, თბილისის ქუჩებს შეემატა: საქართველოს სახალხო არტისტის, თამარ სხირტლაძის; ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის; მთამსვლელ მარინე უთმელიძის; აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების - ლილი თაკვარელიასა და მერი პაკელიანის; სახელმწიფო მოღვაწე ეველინა თავაძის; საქართველოს სახალხო არტისტის, დუდუხანა წეროძის; უფლებადამცველ მარიკა ბაღდავაძის; დრამატურგის, მწერლისა და პუბლიცისტის ნატალია აზიანის; აფხაზეთის ომში დაღუპული მედდების - ინგა გვასალიასა და რუსუდან ჩხეტიანის; გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის, ქეთევან გულაღაშვილისა და სხვათა სახელები. თბილისში გაჩნდა ქართველ ქალთა სახელობის სკვერებიც, მათ შორის, კინომსახიობ ლიკა ქავჟარაძისა და საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის, თამარ წულუკიძის.

დედაქალაქში არსებულ სკვერებს მიენიჭა აგრეთვე მსახიობ გურამ ფირცხალავას, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იასონ ლორთქიფანიძის, შოთა ქარსელაძის, გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის, ზაზა ლორიასა და სხვათა სახელები.

კომისიის საქმიანობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში გაიხსნა: ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩა; აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ნოდარ

მათიაშვილის სახელობის სკვერი; მუსიკოსის, ფოლკლორისტისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ქუჩა და სკვერი.

აგრეთვე გაიხსნა ცნობილი ილუზიონისტის, ზურაბ ვადაჭკორიასა და საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელობის ქუჩები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, აქტიურ კოორდინაციაში იყო შესაბამის სახელმწიფო სამსახურებთან, დედაქალაქის სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. მიმდინარე წელს, კომისიის მიერ სახელმწიფო დროშის დღესა და სხვა ისტორიულ-სახელმწიფოებრივ თარიღთან დაკავშირებით, არაერთი აქტივობა გაიმართა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სამუშაო პროცესში. წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 16 სხდომას და შევისწავლე 31 საკითხი. მათ შორის იყო დედაქალაქის 2023-2024 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული და საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვა საკითხები.

ზემოაღწერილი ანგარიში, ჩემ მიერ 2023-2024 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ, საჯაროდ წარვადგინე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

თინათინ ნიბლოშვილი

Digitally signed by Tinatin Nibloshvili
Date: 2024.10.31 16:41:25 +04'00'

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე